ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში
გამართულ საჯარო ღონისძიებებზე
უცხო პირთა ქცევის წესი

აღიარებს რა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და აკადემიურ სივრცეში ცენზურის დაუშვებლობას, მიაჩნია რა საკუთარ ვალდებულად, ემსახუროს საზოგადოებრივ საჭიროებებს და წარმოადგენს ღია სივრცეს საჯარო განხილვებისა და დებატებისათვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საჯარო ღონისძიებებზე უცხო პირთა ქცევის შემდეგ წესს:

1. ღონისძიებად განიხილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გამართული ნებისმიერი საჯარო აქცია - საჯარო ლექციები, კონფერენციები, გამოფენები და ა.შ.
2. უცხო პირად განიხილება პიროვნება, რომელიც მოცემულ მომენტში არ არის უნივერსიტეტის სტუდენტი ან თანამშრომელი (აკადემიური ან დამხმარე-ადმინისტრაციული პერსონალი).
3. წესის მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარებას, მკაფიოდ განსაზღვროს ორგანიზატორებისა და დამსწრე პირთა ქცევის წესი, უფლებები და მოვალეობები.
4. თუ ღონისძიების ორგანიზატორია უცხო პირი, იგი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული პროცედურის შესაბამისად განიხილავს საკითხს.
5. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გამოიყოფა შესაბამისი სივრცე და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან წინასწარ თანხმდება დამსწრე პირთა სავარაუდო რაოდენობა, შესაძლო სამიზნე ჯგუფები, ღონისძიების ხანგრძლივობა, საჭირო ტექნიკა და ინვენტარი.
6. ღონისძიების ორგანიზატორები და დამსწრე პირები ვალდებულნი არიან დაიცვან ეთიკური ქცევის წესები, კერძოდ, აკრძალულია:
    - ღონისძიებაზე ხმაური და აურზაური;
    - არაკორექტული მიმართვა და სიტყვიერი შეურაცხყოფა;
    - სიძულვილის ენის გამოყენება და ქსენოფობიური გამონათქვამები;
    - მომხსენებელთა და დამსწრე საზოგადოების ფიზიკური შეურაცხყოფა;
    - ნებისმიერი ქცევა, რომელიც ღონისძიების ჩაშლის მცდელობას წარმოადგენს.

7. ქცევის წესის დაღვევის შემჩნევის შემთხვევაში ღონისძიების ორგანიზატორი, წამყვანი და/ან უნივერსიტეტის წარმომადგენელი უფლებამოსილია დამრღვევს/დამრღვევებს მისცეს შენიშვნა და გააფრთხილოს.
8. იმ შემთხვევაში, თუ პირი/პირები, გაფრთხილების მიუხედავად, მაინც არღვევენ ქცევის წესს, ღონისძიების ორგანიზატორს, წამყვანს და/ან უნივერსიტეტის წარმომადგენელს აქვს უფლება, ასეთი პირებს ღონისძიების დატოვება მოსთხოვოს, ხოლო მათი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ვალდებულია, მიმართოს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს, რათა მათ ამ წესის დამრღვევ პირს/პირებს დაატოვებინონ უნივერსიტეტის ტერიტორია.
9. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი/პირები არ ემორჩილებიან უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას, დატოვონ უნივერსიტეტის სივრცე, უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები უფლებამოსილი არიან, გამოიძახონ საპატრულო პოლიცია.
10. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, არ დაუშვას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ის პირი/პირები, რომლებიც დაარღვევენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გამართულ საჯარო ღონისძიებებზე უცხო პირთა ქცევის წესს. ასეთ დამრღვევ პირთა აღიცხვას აწარმოებს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური.